MES 9 22 0001622423

19/12/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ახალი ქართული გიმნაზია
ელზა ბადაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი
ნინო ჩოხელი - დაწესებულების ხელმძღვანელი

შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებელი
ერმალო ნიკოლაიშვილი - დაწესებულების ხელმძღვანელი

შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა
მალხაზ გვიჩია - დაწესებულების ხელმძღვანელი
გივი ღვანია - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს არეა
ელენე როგავა - დაწესებულების ხელმძღვანელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ახალი ქართული გიმნაზია
ცირა ნიკოლაშვილი
იზაბელა იოსელიანი

სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი
მიხეილ ტეფნაძე
ირინა დვალი

შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებელი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
ელენე კალანდაძე

შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა
ნოდარ ანგურიძე

მაკა ნადარეიშვილი

შპს არეა
ირმა ხუციშვილი
ვერა ყურულაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 05 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალი ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ახალი ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და იზაბელა იოსელიანმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 01 და 02 ნოემბერს. ცენტრის 2022 წლის 11 ოქტომბრის N1269577 ბრძანების საფუძველზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ახალ ქართულ გიმნაზიას ავტორიზაცია მიენიჭა 2022 წლის 26 ივლიის N844829 გადაწყვეტილებით, რომლითაც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 370-ით, სამივე საფეხურზე და საგანმანათლებლო ენად განესაზღვრა ქართული და რუსული ენა. საავტორიზაციო ვიზიტისას ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნაში ხარვეზი არ იყო დაფიქსირებული და არც რეკომენდაცია იყო გაცემული.

ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მატერიალური და ადამიანური რესურსი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის ვიზუალური დათვალიერებითა და შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული 23 საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო აუცილებელი მატერიალური საშუალებებით; კერძოდ, მათში განთავსებული იყო მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული 389 მერხი. სკოლაში იყო სამი „სარეზერვო“ საკლასო ოთახი, რომლებშიც განთავსებული იყო მერხები. ჯამში საკლასო ოთახებში განთავსებული და აგრეთვე, დასაწყობებული მერხების რაოდენობა შეადგენდა 506 ერთეულს.

ექსპერტის განმარტებით წარმოდგენილი მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას და სრულად აკმაყოფილებდა სასწავლო პროცესის საჭიროებებს 500 მოსწავლისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში წარმოდგენილი იყო საჭირო აღჭურვილობა, ქიმიური ნივთიერებები განთავსებული იყო დაცულ კარადაში, ცდებისთვის გამოყოფილი იყო მაგიდა, რომელიც დაფარული იყო ცეცხლგამძლე ზედაპირით.

ექსპერტის განცხადებით, შპს ახალ ქართულ გიმნაზიას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი ჰყავდა დასაქმებული. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, Eschool-ის ბაზის, მიხედვით სკოლაში დასაქმებული იყო 47 თანამშრომელი აქედან 38 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ “ზოგადი განათლების შესახებ” კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შექმნილი კეთილგანწყობილი ატმოსფერო საშუალებას იძლეოდა სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს თავი დაცულად ეგრძნო და გამოევლინა შესაძლებლობათა მაქსიმუმი.
საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენით ჰქონდა სკოლას განსაზღვრული კლასში მოსწავლეთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობა.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 23 კლასი, რუსულ და ქართულ სექტორზე. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იყო საბაზო საფეხურზე 22-ით, საშუალო საფეხურზე კი 16 მოსწავლით.
საბჭოს წევრი მაკა მამფორია, დაინტერესდა, თუ რას მოიმოქმედებდა სკოლა იმ შემთხვევაში, როცა საბაზო საფეხურის მოსწავლეები გადავიდოდნენ საშუალო საფეხურზე.
ექსპერტმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ შეიცვლებოდა და სკოლა გახსნიდა პარალელურ კლასს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 500 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ახალ ქართულ გიმნაზიას (ს/კ.: 200036497) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 მოსწავლით.

2. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს მიხეილ ტეფნაძემ და ირინა დვალმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 25 და 26 ოქტომბერს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტის განმარტებით სკოლის საუკეთესო პრაქტიკას მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და მოსწავლეთა მხარდაჭერა წარმოადგენდა.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლაში გამოვლენილ ხარვეზებზე რომელიც მიემართებოდა მეორე სტანდარტს. ექსპერტმა განმარტა, რომ მეორე სართულის ორი საკლასო ოთახის ფანჯრები გადიოდა საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია - კაბინეტში, შესაბამისად, აღნიშნული 2 საკლასო ოთახი არ იყო უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა - სწავლების პროცესს ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საჭიროებდა ბუნებრივი განათების უზრუნველყოფილ 12 საკლასო ოთახს. ზემოთაღნიშნული 2 საკლასო ოთახის გამოკლებით, სკოლას ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობით უზრუნველყოფილი 10 საკლასო ოთახი. ექსპერტმა განაცხადა, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, 2 საკლასო ოთახში განთავსებული მოსწავლეები უზრუნველეყოთ ბუნებრივი განათების შესაძლებლობის მქონე საკლასო ოთახებით.

არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი.

ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესახებ და განმარტა, რომ ეზოს აღმწერ სიტუაციურ ნახაზზე გამიჯნული იყო ა.(ა).ი.პ. - N65 საბავშვო ბაგა-ბაღისა და სკოლის როგორც წინა, ასევე უკანა ეზოები, თუმცა, ვიზიტის პერიოდში ეზოები ფიზიკურად გამიჯნული არ აღმოჩნდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გაცნობიერებული ჰქონდათ აღნიშნული პრობლემა და დაგეგმილი ჰქონდათ გამიჯვნის სამუშაოები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის საკურებაში არსებული ეზოს ნაწილი გაემიჯნა ა.(ა).ი.პ. - N65 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს ნაწილისგან.

არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და სკოლის ფართი გამიჯნულ იქნა ა.(ა).ი.პ. - N65 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს ნაწილისგან.

ექსპერტის განმარტებით სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ მემორანდუმში დაფიქსირებული შენობის მისამართი ბაბუციძის N5, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მარელისის N5. მოეყვანა შესაბამისობაში რეალურ გარემოებებთან.

არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ, ასევე, გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და მისამართები მოიყვანა შესაბამისობაში.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებისთვის მიცემულ კიდევ ერთ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (2022 წლის 31 მარტი) აღნიშნული იყო, რომ სკოლაში დასაქმებული იყო ექთანი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ექიმთანაც ჰქონდა შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული რეგულაცია შესაბამისობაში მოეყვანა რეალურ გარემოებასთან.

არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაფიქსირებული ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 240 მოსწავლით. საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, საკლასო ოთახებში შესაძლებელი იყო 220 ინდივიდუალური მერხისა და სკამის განთავსება. ცენტრისადმი გამოგზავნილი და წესებულების 2022 წლის 16 ნოემბრის წერილის მიხედვით, სკოლა მიიჩნევდა, შენობა-ნაგებობაში ჩატარებული სამუშაოების მიხედვით მოწყობილი 12 საკლასო ოთახისა და 1 საბუნებისმეტყველო კლასლაბორატორიის გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა 235 მოსწავლისათვის გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება. ექსპერტთა ჯგუფი ავტორიზაციის ვიზიტისას, სკოლის შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების მიხედვით მიიჩნევდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა სწავლა-სწავლების პროცესი განეხორციელებინა 220 მოსწავლისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ექსპერტიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი-ს (ს/კ: 208155761) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და ეკატერინე კალანდაძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 18, 19 და 20 ოქტომბერს.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ და განმარტა, რომ ექსპერტთა მხრიდან ვიზიტის პერიოდში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის გადამოწმებისას დადგინდა, რომ სკოლაში მიმდინარე წლის 03 ოქტომბერს მობილობით ჩარიცხული იყო სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე, ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოგვიანებით შეიტყვეს მოსწავლის საჭიროებების შესახებ, სკოლას არ ქონდა განხორციელებული ვიზიტის მომენტისთვის შესაბამისი ღონისძიებები რითაც დაირღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებული მოთხოვნა. ექსპერტმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანია სკოლას შეექმნა მექანიზმები, რის მიხედვითაც იმოქმედებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში, რისთვისაც უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით (ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების დამტკიცების შესახებ); ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ცენტრში გადმოგზავნა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის შექმნის შესახებ ბრძანება და სსსმ მოსწვლესთან მუშაობის შესაბამისი მექანიზმები.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში აღმოჩენილი კიდევ ერთი ხარვეზის შესახებ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში არ იყო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ კი ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრული იყო ღობით, ცენტრალური შესასვლელი არ იკეტებოდა (არ იყო კარები) და სკოლის ტერიტორიაზე ეზოში ხდებოდა უცხო პირების მანქანებით გადაადგილება, სკოლის ტერიტორიას მოსახლეობა იყენებდა პარკირებისთვის, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა მითითება, მოეწყო შესასვლელზე კარები, რომ შეზღუდულიყო უცხო პირთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებული ფართის მომიჯნავედ განთავსებული იყო სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ორივე შენობის ფართი საჯარო რეესტრიში დაცული დოკუმენტების მიხედვით გამიჯნული იყო, თუმცა ვიზუალურად , სკოლის ეზო არ იყო გამოყოფილი, შესაბამისად უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით რეკომენდებული იყო სკოლის ფართი ფიზიკურად გაიმიჯნულიყო მომიჯნავე შენობისგან. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა

რეკომენდაციები და ცენტრში გადმოაგზავნა ფოტოსურათები, სადაც ჩანს, რომ სკოლის ფართი ღობის საშუალებით გამიჯნულ იქნა სხვა სკოლის შენობისგან. ასევე, წარმოდგენილ იქნა ბრძანება რითაც სკოლის მიერ განისაზღვრა უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, მათ შორის ვიზიტორთა მართვის, შემოსასვლელი ჭიშკრის მოწყობის და სხვ. საკითხები, ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები (განსაზღვრულ იქნა 2022 წლის 20 ნოემბერი).

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილ კიდევ ერთ ხარვეზზე, რომ უსაფრთხოების კამერების არასაკმარისი რაოდენობის გამო ვერ ხდებოდა სკოლაში არსებული სივრცეების სრული კონტროლი. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა ფოტომასალა სადაც ასახული იყო დამონტაჟებული ვიდეოკამერები, თუმცა კამერების ფლობის დოკუმუნტაციის გარეშე, ასევე, განისაზღვრა ვიდეოკამერების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის მასწავლებლები არ იყვნენ შერჩეულნი ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გადმოაგზავნა მასწავლებლების შერჩევის მიზნით ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ დოკუმენტაცია. კორესპონდენციის მიხედვით სკოლამ განმარტა, რომ მასწავლებლებს გაუფორმდა სათანადო ხელშეკრულება და კონტრაქტში ჩაიდო პირობა, მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩააბარებისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის თაობაზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა ერთი ხელშეკრულება და მასწავლებლების დანიშვნის ბრძანებები.

ექსპერტმა განცხადებით მომდევნო ხარვეზი ეხებოდა თანამშრომლების პროფესიული განვითარების ეფექტიან მექანიზმებს, რომელიც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული. არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ეტაპზე კი სკოლამ ცენტრში გადმოაგზავნა შემუშავებული და დამტკიცებული ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამტკიცდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას სკოლას გაეთავლისწინებინა და აესახა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი და გათვალისწინებული მომსახურებები; დაეზუსტებინა სკოლის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, სასკოლო აქტივობები/პროექტები. სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილი ყოფილიყო ერთიანი დოკუმენტის სახით, სარჩევით, დანომრილი ნაწილებით და დანართებით. აქტიურად დანერგილიყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, შეთავაზებული ყოფილიყო კომპლექსური ტიპის დავალებები, გაეძლიერებინა ციფრული ტექნოლოგების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, გამოყენებული ყოფილიყო მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალების ტიპები.

ექსპერტის განცხადებით აღნიშნულ რეკომენდაციებზე მუშაობა სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო და გაითვალისწინა.

ექსპერტმა ისაუბრა მატერიალური რესუსრსთან მიმართებით სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციის შესახებ. ექსპერტმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო მოწყობილი სველი წერტილი და გამწოვი კარადა. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში იყო მოწყობილი, ექსპერტთა მითითებით სკოლამ, ვიზიტის პერიოდშივე, განათავსა აღნიშნული სივრცეები ცალ-ცალკე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაეცვა პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია შეეტანა და პერიოდულად

განეახლებინა, ხელმისაწვდომი გაეხადა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, განესაზღვრა ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გასწეოდა მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას. ასევე, სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, დაედგინა ვიდეოკამერების ადმინისტირირების წესი, ბრძანებით განესაზღვრა პასუხისმგებელი პირი/პირები.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა ბრძანება ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების მიმართ გაცემულ რეკომენდაციაზე. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ის მოთხოვნებით, დროულად მოეხდინა რეაგირება შეაბამისი უწყებების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე .

ექპერტმა განაცხადა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ ადამიანური რესურსთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის თაობაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას უნდა ეზრუნა ადამიანური რესურსის მოზიდვაზე, გამიჯნული ყოფილიყო ფუნქციები და მონიტორინგი გაეწია საშემსრულებლო დისციპლინისთვის. მოეყვანა შესაბამისობაში ხელშეკრულებები, საშტატო განრიგი და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტისას და მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლისას დადასტურდა, რომ სკოლას შეეძლო გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება არა 200 მოსწავლისთვის, რაც დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით ჰქონდა მოთხოვნილი, არამედ 170 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმა ექსპერტიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მესამე პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებელს (ს/კ: 212815863) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 2024 წლის დასრულებისა, სკოლაში განხორციელებულიყო მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

4. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მაკა ნადარეიშვილმა.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 02, 03 და 04 ნოემბერს. მისი თქმით, სკოლა საკუთრების უფლებით ფლობდა ორ მიწის ნაკვეთს. ერთ მათგანზე იყო სასწავლო კორპუსი, ხოლო მეორეზე შენობა, რომელშიც განთავსებული იყო სპორტული დარბაზი.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლამ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა 2022 წლის 07 ივლისის, სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, ხოლო ექსპერტთა თხოვნის საფუძველზე, ვიზიტის განხორციელებამდე, კი სკოლამ წარადგინა დამტკიცებული 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო 2022 წლის 09 სექტემბერს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას გაეთვალისწინებინა ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა და სასკოლო სასწავლო გეგმა დაემტკიცებინა ახალი სასწავლო წლის დასაწყისამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საათობრივი ბადის მესამე მოდელი, რომელიც შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მისი თქმით, დაწესებულებაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ფიზიკა-მათემატიკა და უცხოური ენები. ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა თემატური მატრიცები და განხორციელებული ჰქონდა კომპლექსური დავალებები.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში, დიდი ყურადღება ეთმობოდა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებას: სკოლას

თანამშრომლობით ურთიერთობა ჰქონდა ქალაქში ფუნქციონირებად სხვადასხვა საწარმოსთან, ასევე, სსიპ - ,,ფაზისთან", რომელიც წარმოადგენდა მრავალპროფილიან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისი წესი, თუმცა ის არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია წესი ჯერ შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შეთანხმების შემდგომ კი დაემტკიცებინა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამედიცინო კაბინეტის მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ: სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სამედიცინო კაბინეტი მოწყობილიყო არანაკლებ 12 კვ.მ. ფართის ოთახში. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა ექთანი.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში არ იძებნებოდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა. აქვე, მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა გარკვეულმა ნაწილმა გააკეთა განაცხადი ცნობის მოთხოვნის შესახებ. არგუმენტირებული პოზიციისას, კი სკოლამ წარადგინა თანამშრომელთა ცნობები. ასევე, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები მოიყვანა შესაბამისობაში შრომის კოდექსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაედასტურებინათ, შეათანხმა თუ არა სკოლამ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გააგზავნა წერილი აღნიშნული წესის შესათანმხებლად, საიდანაც მიიღო დოკუმენტის მიღების დასტური, თუმცა, პასუხი უშუალოდ წესის შეთანხმების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან არ იყო გამოგზავნილი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა მნიშვნელობას ხედავდა დაწესებულება კოლეჯ ფაზისთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით და რა სახით თანამშრომლობდა მასთან. სკოლის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ კოლეჯი ფაზისი მოსწავლეების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულდებდა. აღნიშნული კოლეჯი ახორციელებდა 50-ზე მეტ პროგრამას. მისი თქმით, მოსწავლეებს აცნობდნენ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სახელოსნოებს, აუდიტორებს, ლაბორატორიებს. მოსწავლეები ინტერესდებოდნენ სხვადასხვა პროფესიებით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე მოსწავლე სკოლის დამთავრების შემდეგ აპირებდა პროფეისულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას.
საბჭოს წევრმა პეტრე ბაბილუამ სთხოვა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როგორ აისახებოდა ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლა მოსწავლეთა მიღწევებსა და შედეგებში. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეებმა, რომლებიც ეროვნულ გამოცდებში მათემატიკას აბარებდნენ მიიღეს სახელმწიფო გრანტი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება თავის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ასახელებდა ტოლერანტობას და აღნიშნავდა, რომ სკოლა წარმოადგენდა ტოლერანტობის მნიშვნელოვან კერას. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რომელი ინდიკატორი მიუთითებდა სკოლის ტოლერანტობაზე. ასევე, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზში ერთ-ერთ საფრთხედ დასახელებული იყო პოლიტიკური არასტაბილურობა. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ

რატომ წარმოადგენდა პოლიტიკური არასტაბილურობა მათთვის საფრთხეს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში არსებული ტოლერანტობა დასტურდებობდა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების გზით. მისი თქმით, სკოლაში განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა მიუთითებდა სკოლაში არსებულ ტოლერანტობაზე, მაგალითად, მასწავლებლები გეგმავდნენ ისეთ დავალებებს, სადაც მოსწავლეები მუშაობდნენ როგორც ჯგუფურად, ასევე, ინდივიდუალურად. ექსპერტმა ასევე, განმარტა, რომ პიროვნებათშორისი ურთიერთობები ვლინდებოდა ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ფინანსურად დამოკიდებული იყო მოსწავლეების შენატანზე. ქვეყანაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო უარყოფითად აისახებოდა სკოლაზე.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუტებინათ თუ რა წილი ჰქონდა კომპლექსურ დავალებებს შემაჯამებელი დავალებების ნაწილში. ასევე, რა მეთოდოლოგია ჰქონდა სკოლას მათემატიკის სწავლების კუთხით. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც მასწავლებლები, ასევე, მოსწავლეები დადებითად აფასებდნენ კომპლექსური დავალებებით მუშაობას. მან, აქვე აღნიშნა, რომ თითოეულ საფეხურზე ისინი ძირითადად კომპლექსური დავალებებით მუშაობდნენ. მისი თქმით, მოსწავლეები ინტერესდებოდნენ კომპლექსური დავალებებით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებებს, ასევე, ასრულებდნენ გახარგრძლივებული სწავლების პერიოდშიც, მასწავლებელთა ზედამხედველობის ქვეშ. ამავდროულად, კომპლექსურ დავალებებზე მოსწავლეები, მუშაობდნენ სახლში, ხოლო მომდევნო გაკვეთილზე კონკრეტული საგნის მასწავლებელთან განიხილავდნენ აღნიშნულ დავალებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მეორე პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლას (ს/კ: 415096693) 6 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებისთანავე, ცენტრში უნდა წარმოედგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული წესი ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ.

5. შპს არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და ვერა ყურულაშვილმა.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი შპს არეაში განხორციელდა მიმდინარე წლის 18, 19 და 20 ოქტომბერს. ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ამოცანები. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სწავლა/სწავლების პროცესი მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას დადგენილი ჰქონდა სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები, ტარდებოდა მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებების კვლევა, ასევე, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიაც.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, სკოლას გააჩნდა საკუთარი შენობა. მას წარმოდგენილი ჰქონდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტის განცხადებით, შპს არეა-ს საკუთრებაში იყო ერთსართულიანი შენობა (1977,2 კვ.მ) განთავსებული (8803 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე. ექსპერტის თქვმით თქმით, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შენობაზე მიმდინარეობდა მეორე სართულის დაშენება. სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა არასასწავლო პროცესის დროს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტისას, წვიმის დროს სკოლის შენობის გარკვეულ ნაწილში ჩამოდიოდა წყალი და აზიანებდა საკლასო ოთახებს. მისი თქმით, ერთი საკლასო ოთახი არ გამოიყენებოდა რადგან დაზიანებული იყო წვიმისაგან. ასევე, მან აღნიშნა, რომ ერთ მეთერთმეტე კლასს არ ჰქონდა საკლასო ოთახი და მათთვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სკოლის დერეფანში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას დაუყოვნებლივ შეეკეთებინა შენობის სახურავი.

ექსპერტმა, აქვე განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმეტირებული პოზიციით დაწესებულებამ წარმოადგინა, რომ ექსპერტთა ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ხობის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა სტიქია და უამინდობის გამო ვერ მოესწრო სკოლის შენობის გადახურვის სამუშაოები. ვიზიტის შემდგომ განხორციელდა სკოლის პირველ სართულზე მეორე სართულის დაშენება და შენობის გადახურვის სამუშაოები. ასევე განხორციელდა დაზიანებული საკლასო ოთახების შეკეთება. ირმა ხუციშვილმა განმარტა, რომ როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ წერილში იყო აღწერილი სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის იყენებდა ყველა საკლასო ოთახს, მათ შორის მეთერთმეტე კლასელებს ჰქონდათ მათთვის განკუთვნილი საკლასო ოთახი, რასაც ადასტურებდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის სპორტული დარბაზი არ შეესაბამებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ დარბაზში არ იყო იატაკი, არ ჰქონდა ფანჯრები და არ იყო დამონტაჟებული გათბობის სისტემა, ასევე, სპორტული დარბაზი გამოიყენებოდა სამშენებლო მასალის საწყობად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარბაზში შეუძლებელი იყო სპორტის გაკვეთილების ჩატარება. ექსპერტის თქმით, სკოლის ეზოში მდებაორეობდა ღია სპორტული მოედანი, რომელიც აღჭურვილი იყო კალათბურთის ფარებითა და ფრენბურთის ბადით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში მიმართა სსიპ - ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლას თხოვნით, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ესარგებლა მათი სპორტული დარბაზით სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად. ექსპერტმა, აქვე, დასძინა, რომ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ ექსპერტთა მიერ მიღებული მითითებების შემდგომ სპორტული დარბაზი დაიცალა სამშენებლო მასალისგან, გამოიცვალა დაზიანებული ფანჯრები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა და დაიგო ვინილის იატაკი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლის დარბაზი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში დამონტაჟებულიყო გამწოვი სისტემა და ნიჟარა წყლის სისტემით.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებული იყო ერთ ოთახში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაიცია კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის ცალ-ცალკე ოთახებში განთავსების შესახებ. ექსპერტმა, დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული იყო 2016 წელს შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. მისი თქმით, მას შემდეგ შენობაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები და აღნიშნული გეგმა სრულად არ ასახავდა შენობის საევაკუაციო გასასვლელების განლაგებას. ექსპერტთა რჩევით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს ,,დეტექტი''-სთან საევაკუაციო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. ექსპერტების რჩევა, ასევე, ითვალისწინებდა შპს ,,დეტექტი''-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული საევაკუაციო გეგმა განთავსებულიყო სკოლის შენობაში და გეგმის შესაბამისად განლაგებულიყო ცეცხმაქრები. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ შპს ,,დეტექტი''-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დამზადებულ იქნა სავეკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამებოდა სტანდარტებს და განათავსა სკოლის შენობაში, ასევე გეგმის შესაბამისად განთავსდა დამუხტული ცეცხლმაქრები.

ექსპეტმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა ექთანი. ექსპერტთა რეკომენდაციით ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე. ექსპერტის მხრიდან

სკოლას, ასევე, მიეცა რჩევა შრომითი ხელშეკრულებების ვადები მოეყვანა შესაბამისობაში შრომის კოდექსის მოთხოვნებთან, ასევე, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვა ეწარმოებინა შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში, რაც მისცემდა შესაძლებლობას აღრიცხულიყო განსხვავებული ვადის მქონე ხელშეკრულებები და ამასთან მოიცავდა სრულყოფილ ინფორმაციას დასაქმებულზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, აღჭურვილი იყო თუ არა შესაბამისი ხელსაბანითა და სავინტილაციო დანადგარით სკოლის ლაბორატორია. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ელენე როგავამ, დაადასტურა, რომ ლაბორატორია აღჭურვილი იყო ყველა შესაბამისი ინვენტარით. საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტოსურათი არ იძლეოდა ლაბორატორიის სრულყოფილად დანახვის საშუალებას. ასევე, მისი განმარტებით, წარმოდგენილი ფოტომასალა არ იძლეოდა იმის დაზუსტების საშუალებას, თუ რამდენად სწორად ასრულებდა გამწოვი საკუთარ ფუნქციას და დამონტაჟებული იყო იმ მაგიდის ზემოთ, სადაც ხდებოდა ცდების ჩატარება.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არეას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მეორე პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს არეას (ს/კ: 244555539) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სკოლას უახლოეს პერიოდში უნდა წარმოედგინა ცენტრში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც დაადასტურებდა ლაბორატორიის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას, კერძოდ, სადაც დამონტაჟებული იქნებოდა ნიჟარა, მაგიდა, სავენტილაციო დანადგარი, რომელიც განთავსდებოდა მაგიდის ზემოთ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:48 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა